

საიდ. №81826/03

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №122-03/15

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ნ. გოგილიძე (თავმჯდომარე), ს. დუმბაძე, მ. ჭიჭინაძე, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა კომპანიის „ოლეინა სა“ (OLEINA SA) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №122-03/15), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 20 მაისის „სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული წესით რეგისტრაციის შესახებ“ №570/03 ბრძანების ბათილად ცნობა, რომლითაც შპს „ვალო-ქრისტის“ სახელზე, დაჩქარებული წესით დარეგისტრირდა სასაქონლო ნიშანი „Олейна“ (საიდ. N81826/03) მე-6 კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, შესაგებელი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და მოისმინა რა მხარეთა ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტი კომპანია „ოლეინა სა“ არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, არსებობს საერთაშორისო კლასიფიკაციის მე-6 კლასის საქონლისათვის დაჩქარებული წესით რეგისტრირებული კომბინირებული სასაქონლო ნიშნის „ОЛЕЙНА“ (რეგ. №25923) რეგისტრაციის ბათილად ცნობის საფუძველი, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად. აპელანტის პოზიციით, გასაჩივრებული სასაქონლო ნიშანი აღრევის შესაძლებლობამდე მსგავსია აპელანტის კუთვნილი ადრინდელი პრიორიტეტის მქონე საერთაშორისო კლასიფიკაციის 29-ე და 30-ე კლასების საქონლისათვის საქართველოში რეგისტრირებული და საერთაშორისო პროცედურით დაცული შემდეგი სასაქონლო ნიშნებისა: რეგ. N 21932; 23440, IR 1030605; 1031873; 1058113; 1079461; 1179971; 656434; 705316; 781584; 781650; 860620; 860621; 860622; 965015; 965021; 965022; 965033; 965034; 965036; 965038; 965040; 965041; 968351. აპელანტის მითითებით, ზემოაღნიშნული ნიშნები შეიცავენ სიტყვიერ აღნიშვნას „ОЛЕЙНА“ კირილიცასა და ლათინურ ენაზე, გასაჩივრებულ სასაქონლო ნიშანს მთლიანად მოიცავს, ხოლო საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი IR 781650 მისი იდენტურია. კომპანიის „ოლეინა სა“ კუთვნილი სასაქონლო ნიშანი „ОЛЕЙНА“, რომელიც რეგისტრირებულია 29-ე და 30-ე კლასების საქონლისათვის, დიდი ხანია არსებობს სასაქართველოს ბაზარზე და ამ ნიშნით მონიშნული საქონელი, განსაკუთრებით ზეთი, საკმაოდ პოპულარულია და აქვს კარგი რეპუტაცია. აპელანტს მიაჩნია, რომ გასაჩივრებული სასაქონლო ნიშნის მფლობელმა გამოიყენა მისი სასაქონლო ნიშნის კარგი რეპუტაცია და

დაჩქარებული წესით დაარეგისტრირა თავისი სასაქონლო ნიშანი. აპელანტის პოზიციით, მიუხედავად იმისა, რომ გასაჩივრებული სასაქონლო ნიშანი და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები დაცულია სხვა და სხვა კლასების საქონლისათვის, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ბათილად უნდა იქნეს ცნობილი დაჩქარებული წესით რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის „ОЛЕЙНА“ (რეგ.№ 25923) რეგისტრაცია. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 20 მაისის „სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული წესით რეგისტრაციის შესახებ“ №570/03 ბრძანების ბათილად ცნობას, რომლითაც შპს „ვალო-ქრისტი“ სახელზე, დაჩქარებული წესით დაარეგისტრირდა სასაქონლო ნიშანი „Олейна“ (საიდ. N81826/03) მე-6 კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

გასაჩივრებული ნიშნის მფლობელი შპს „ვალო-ქრისტი“ არ ეთანხმება წარმოდგენილ სააპელაციო საჩივარს შემდეგი გარემოებების გამო:

დაინტერესებული მხარის განმარტებით, არსებობს სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული წესით რეგისტრაციის შესახებ ბრძანება №570/03, რომლითაც სადავო სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია საქპატენტში და სასაქონლო ნიშნის შესახებ მონაცემები გამოქვეყნებულია სამრეწველო საკუთრების ოფიციალურ ბიულეტენში (№11 10/06/2015, გვ. 69). განსახილველი სააპელაციო საჩივრით აპელანტი ითხოვს სადავო სასაქონლო ნიშნის „Олейна“ (საიდ. №81826/03) რეგისტრაციის ბათილად ცნობას, მაშინ როცა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ასეთ საკითხზე გადაწყვეტილებებს იღებს სასამართლო და არა საქპატენტი. შესაბამისად საქპატენტი არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს სასაქონლო ნიშნის „Олейна“ (საიდ. №81826/03) რეგისტრაციის ბათილად ცნობაზე და შესაბამისად, სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

ზემოაღნიშნული ნორმის თანახმად, აპელანტმა აღნიშნული მოთხოვნით უნდა მიმართოს სასამართლოს და არა საქპატენტს. საყურადღებოა ის გარემოება, რომ სააპელაციო საჩივარი ხელმოწერილია პატენტწმუნებულის შალვა გვარამაძის მიერ, სააპელაციო საჩივარი დათარიღებულია 2015 წლის 10 სექტემბრით, თუმცა ამ დროისათვის (2015 წლის 10 სექტემბრისათვის) შალვა გვარამაძეს არ ჰქონდა სააპელაციო საჩივრის წარდგენის უფლებამოსილება კომპანიისგან „ოლეინა სა“ (OLEINA SA), რაც იმას ნიშნავს, რომ სააპელაციო საჩივარი არაუფლებამოსილი პირის მიერ იქნა წარდგენილი. საქმეზე თანდართული მინდობილობის თანახმად, შალვა გვარამაძეზე გაცემული მინდობილობა დათარიღებულია 2015 წლის 14 სექტემბრით. მინდობილობა არ არის აპოსტილით დამოწმებული, მინდობილობის გამცემი არ არის ქართული კომპანია, მინდობილობა სანოტარო წესით არ არის დადასტურებული, ვერ დგინდება მინდობილობის კანონიერება. სააპელაციო საჩივრის შეტანის დროისათვის შალვა გვარამაძის სახელზე უნდა ყოფილიყო შესაბამისი მინდობილობა იმის თაობაზე, რომ მას უფლება ჰქონდა აპელანტის სახელით ხელი მოეწერა სააპელაციო საჩივარზე და შეეტანა იგი საქპატენტში (სასკ-ის პირველი მუხლის მე-2 ნაწილი; სსსკ-ის 98-ე მუხლის პირველი ნაწილი). ასეთს ადგილი არ ჰქონია. დაინტერესებული მხარის განმარტებით, სადავო ბრძანება სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული წესით რეგისტრაციის შესახებ, არის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლის გასაჩივრების შემთხვევაშიც დაცული უნდა იყოს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი წესი, რაც იმას ნიშნავს, რომ საჩივარი წარდგენილ უნდა ყოფილიყო იმ პირის მიერ, ვისაც პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებს იგი. შესაბამისად, 2015 წლის 10 სექტემბრით დათარიღებული სააპელაციო საჩივარი განუხილველად უნდა იქნეს დატოვებული, როგორც არაუფლებამოსილი პირის მიერ წარდგენილი საჩივარი. რეალურად საჩივარი 2015 წლის 14 სექტემბრით დათარიღებულად უნდა ჩაითვალოს

(მინდობილობის გაცემის თარიღის შესაბამისად – თუმცა ამ შემთხვევაშიც გასარკვევი რჩება მინდობილობის კანონიერების საკითხი). ასეთ შემთხვევაში კი დადგენილ ვადაში საჩივრის წარუდგენლობის გამო სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს - „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად. დაინტერესებული მხარის განმარტებით, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილი წესი - „ნებისმიერ დაინტერესებულ პირს უფლება აქვს სააპელაციო პალატაში გაასაჩივროს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება“, არ ნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში უფლებამოსილება არ უნდა იქნეს გათვალისწინებული, ანუ ნებისმიერი დაინტერესებული პირი არ ნიშნავს არაუფლებამოსილ პირს და პირიქით (არაუფლებამოსილი პირი არ შეიძლება იყოს დაინტერესებული პირი). სააპელაციო საჩივრის თანახმად, აპელანტი თვლის, რომ გასაჩივრებული სასაქონლო ნიშანი აღრევის შესაძლებლობამდე მსგავსია მისი კუთვნილი ადრინდელი პრიორიტეტის მქონე საერთაშორისო კლასიფიკაციის 29-ე და 30-ე კლასების საქონლისათვის საქართველოში რეგისტრირებულ და საერთაშორისო პროცედურით დაცული სასაქონლო ნიშნებისა, რომლებიც შეიცავენ სიტყვიერ აღნიშვნას „ОЛЕЙНА“ კირილიცასა და ლათინურ ენაზე, გასაჩივრებულ სასაქონლო ნიშანს მთლიანად, ხოლო საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი IR 781650 მისი იდენტურია. სამრეწველო საკუთრების ოფიციალურ ბიულეტენში არ არის გამოქვეყნებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი, რომლებზეც გამოტანილია გადაწყვეტილება დაცვის მინიჭების შესახებ. ასევე, არ არის გამოქვეყნებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშნები, რომლებსაც მიენიჭათ დაცვა საქართველოში. აღნიშნულის შესახებ სააპელაციო საჩივარში არაფერია ნათქვამი და ასეთი, არც საქმის მასალებით არ დასტურდება. გარდა აღნიშნულისა, აპელანტი აცხადებს, რომ დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის ეროვნული რეგისტრაციის ნომრებია:

21932; 23440, თუმცა, სააპელაციო საჩივრით ვერ დგინდება, თუ რომელ ბიულეტენში არის იგი გამოქვეყნებული. ამ მხრივ საყურადღებოა სადავო სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციასთან (განაცხადის საიდენტიფიკაციო №81826/3) დაკავშირებით საქპატენტის მიერ ჩატარებული არსობრივი ექსპერტიზა, რომლის (არსობრივი ექსპერტიზის დასკვნის) თანახმად, არ არსებობს ნიშნის დაცვაზე „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 და მე-5 მუხლებით განსაზღვრული უარის თქმის საფუძველი. აღნიშნულიდან გამომდინარე გასაჩივრებული ნიშნის მფლობელი თვლის, რომ ამ ნაწილშიც აპელანტის პრეტენზიები უსაფუძვლოა და იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს. დაინტერესებული მხარის პოზიციით, სააპელაციო საჩივრის სამართლებრივ საფუძვლად მითითებულია „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე ისეთი სასაქონლო ნიშნის იდენტური ან მსგავსია, რომელსაც საქართველოში აქვს კარგი რეპუტაცია და ამ სასაქონლო ნიშნის გამოყენება განმცხადებელს დაუმსახურებლად უქმნის ხელსაყრელ პირობებს ან ზიანს აყენებს დაცული სასაქონლო ნიშნის რეპუტაციას. ეს წესი გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, როდესაც საქონლის ჩამონათვალი სხვადასხვაა“. ამ ნაწილში აპელანტი აცხადებს, რომ მისი კუთვნილი სასაქონლო ნიშნით „ОЛЕЙНА“ მონიშნული საქონელი 2001 წლიდან არსებობს საქართველოს ბაზარზე და იგი საკმაოდ პოპულარულია და აქვს კარგი რეპუტაცია (ასეთი დოკუმენტები სააპელაციო საჩივარს თან არ ერთვის), თვლის რომ მოცემულ შემთხვევაში შპს „ვალო-ქრისტი“-ს მიერ გამოყენებული იქნა აპელანტის სასაქონლო ნიშნის კარგი რეპუტაცია და აღნიშნულზე მითითებით, ითხოვს სასაქონლო ნიშნის „ОЛЕЙНА“ რეგისტრაციის ბათილად ცნობას. აღნიშნულთან დაკავშირებით საყურადღებოა, რომ შპს „ვალო-ქრისტი“ (მისამართი: შავშეთის ქ. №15, 6000

ბათუმი, საქართველო) არის სასაქონლო ნიშნის „алейна“ (რეგ. №22859) მფლობელი. აღნიშნული გამოქვეყნებულია სამრეწველო საკუთრების ოფიციალურ ბიულეტენში (№9 11/05/2015 გვ. 150) აღნიშნული სასაქონლო ნიშანი გამოიყენება იმავე საქონელზე, რომელზეც გამოიყენება აპალანტის მიერ სადავოდ გამხდარი სასაქონლო ნიშანი „Олейна“. მოცემულ შემთხვევაში დასახელებულ სასაქონლო ნიშნებს შორის სხვაობა მხოლოდ პირველ ასო-ბგერაშია. სასაქონლო ნიშანთან „алейна“ მიმართებაში პრეტენზიები არ არსებობს და იგი დავის საგანს არ წარმოადგენს. სასაქონლო ნიშნით „алейна“ საქონელი (ბოთლის დასაცობი თაღფაქები, სახურავები) საქართველოში არსებობს 2000 წლიდან. ამ დროიდან ხდებოდა სასაქონლო ნიშნით „алейна“ საქონლის წარმოება-რეალიზაცია (მათ შორის შპს „გეოპაკის, შპს „მეტალინვესტის“, შპს „პროფერმენეჯმენტის“ მიერ). სასაქონლო ნიშანი „алейна“ 2012 წლიდან რეგისტრირებულია საქპატენტში და თავის დროზე მისი მფლობელი იყო შპს „TLC Property Management“. შემდგომში სასაქონლო ნიშნის „алейна“ მფლობელი გახდა შპს „მეტალპრო“, რომელთანაც შპს „ვალო-ქრისტიმ“ 2015 წლის 07 აპრილს გააფორმა სასაქონლო ნიშნის „алейна“ ნასყიდობის ხელშეკრულება და მფლობელის ცვლილება განხორციელდა საქპატენტში. შპს „ვალო-ქრისტიმ“ გაიცა სასაქონლო ნიშნის მოწმობის დანართი (უფლების გადაცემა), რომელიც წარმოადგენს №22859 მოწმობის განუყოფელ ნაწილს. გარდა აღნიშნულისა, საყურადღებოა ის, რომ შპს „ვალო-ქრისტიმ“ (მისამართი: შავშეთის ქ. №15, 6000 ბათუმი, საქართველო) არის სასაქონლო ნიშნის „ОЛЕЙНА“ (საიდ. №77949/03) მფლობელი. ზემოთ აღნიშნულის მსგავსად, მოცემულ შემთხვევაშიც სასაქონლო ნიშნებს შორის სხვაობა მხოლოდ პირველ ასო-ბგერაშია. სასაქონლო ნიშანთან „ОЛЕЙНА“ მიმართებაში პრეტენზიები არ არსებობს და იგი დავის საგანს არ წარმოადგენს. დაინტერესებული მხარის მითითებით, ბაზარზე არსებულმა სიტუაციამ, კონკურენტ ფირმებს, რომ არ მოეხდინათ უკვე არსებული

სასაქონლო ნიშნის „алейна“ იდენტური ან მსგავსი სასაქონლო ნიშნით იმავე დასახელების საქონლის შემოტანა (იმპორტი), დამზადება, საქართველოს ბაზარზე რეალიზაცია, ამიტომ დამატებით კიდევ ერთი სასაქონლო ნიშანი „олейна“ იქნა საქპატენტში დარეგისტრირებული. აპელანტის მიერ, ამჟამად უკვე სადავოდ გამხდარი სასაქონლო ნიშანი „олейна“ იმიტომ კი არ დარეგისტრირდა, რომ მას კარგი რეპუტაცია ჰქონდა ბაზარზე, არამედ იმიტომ, რომ სასაქონლო ნიშნის „олейна“ იდენტური/მსგავსი სასაქონლო ნიშანი „алейна“ უკვე რეგისტრირებული იყო საქპატენტში და იგი წარმოადგენდა შპს „ვალო-ქრისტის“ საკუთრებას და სასაქონლო ნიშნის „олейна“ გამოყენებას კონკურენტი ფირმები ვეღარ მოახერხებდნენ. ზემოთ აღნიშნული სასაქონლო ნიშნებისაგან განსხვავებული დიზაინით და მცირედი განსხვავების მქონე სასაქონლო ნიშნებით იგივე დასახელების საქონელი შემოაქვს, ამზადებს, და ყიდის კონკურენტი ფირმები. აღნიშნულის გამო, ერთი და იგივე საქონელზე სამი სასაქონლო ნიშანი იქნა დარეგისტრირებული საქპატენტში - „ОЛЕЙНА“, „алейна“, „олейна“. გარდა აღნიშნულისა, კონკურენტი ფირმებისათვის წერილობით იქნა გაგზავნილი მიმართვა, რომ არ მომხდარიყო რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის იდენტური და/ან მსგავსი სასაქონლო ნიშნით საქონლის შემოტანა საქართველოს ტერიტორიაზე და/ან ასეთი სასაქონლო ნიშნის იდენტური და/ან მსგავსი სასაქონლო ნიშნით საქონლის წარმოება და რეალიზაცია. აღნიშნულთან დაკავშირებით ასევე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურისათვის გაგზავნილ იქნა წერილობითი მიმართვა. გაფრთხილებების მუხედევად, შპს „ტეტრაპროდუქტის“ მიერ მაინც მოხდა შპს „ვალო-ქრისტის“ კუთვნილი სასაქონლო ნიშნის იდენტური/მსგავსი სასაქონლო ნიშნის მქონე საქონლის უნებართვოდ შემოტანის მცდელობა, რაც საბაჟო სამსახურის მიერ დროულად იქნა შეჩერებული. დაინტერესებული მხარის განმარტებით, სააპელაციო საჩივრით და თანდართული მასალებით, ვერ დგინდება, რომ სადავო

სასაქონლო ნიშანი „Олейна“ ზიანს აყენებს დაცული სასაქონლო ნიშნის რეპუტაციას. ასევე, ვერ დგინდება, ის ფაქტი, რომ სადავო სასაქონლო ნიშნის „Олейна“ გამოყენება განმცხადებელს დაუმსახურებლად უქმნის ხელსაყრელ პირობებს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაინტერესებული მხარე ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 20 მაისის „სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული წესით რეგისტრაციის შესახებ“ №570/03 ბრძანების ძალაში დატოვებას და სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

კოლეგიამ განიხილა მხარეთა არგუმენტები, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება თუ იგი: „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე ისეთი სასაქონლო ნიშნის იდენტური ან მსგავსია, რომელსაც საქართველოში აქვს კარგი რეპუტაცია, და ამ სასაქონლო ნიშნის გამოყენება განმცხადებელს დაუმსახურებლად უქმნის ხელსაყრელ პირობებს ან ზიანს აყენებს დაცული სასაქონლო ნიშნის რეპუტაციას. ეს წესი გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, როდესაც საქონლის ჩამონათვალი სხვადასხვაა“.

კოლეგია ვერ გაიზიარებს დაინტერესებული მხარის, შპს „ვალო-ქრისტის“ პოზიციას, იმასთან დაკავშირებით, რომ სააპელაციო საჩივარი წარდგენილ იქნა არაუფლებამოსილი პირის მიერ და ამ საფუძველში დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი. კოლეგიას მიაჩნია, რომ მართალია 2015 წლის 10 სექტემბრით დათარიღებული სააპელაციო საჩივარი, ხელმოწერილია შალვა გვარამაძის მიერ, რომელსაც სააპელაციო საჩივრის წარდგენის თარიღისათვის არ ჰქონდა მინდობილობა, მაგრამ მოგვინებით აღნიშნული პირის მიერ კანონით დადგენილ ვადებში წარმოდგენილ იქნა შესაბამისი მინდობილობა. სსიპ საქართველოს

ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის N02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-8 მუხლის მე-14 პუნქტის თანახმად, „კოლეგიამ სააპელაციო საჩივრის განსახილველად მიღების, ხარვეზის დადგენის, ან დაუშვებლად ცნობის თაობაზე გადაწყვეტილება უნდა მიიღოს კოლეგიის შექმნიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში“. ზემოაღნიშნული ნორმით გათვალისწინებულ ვადაში აპელანტის წარმომადგენლის მიერ მოცემულ სააპელაციო საჩივარზე, წარმოდგენილ იქნა შესაბამისი მინდობილობა. მართალია სააპელაციო საჩივარი წარმოდგენილია 2015 წლის 10 სექტემბერს, ხოლო წარმოდგენილი მინდობილობა დათარიღებულია 2015 წლის 14 სექტემბრით, მაგრამ აღნიშნული არ ქმნის იმის საფუძველს, რომ სააპელაციო საჩივრის წარმდგენი პირი მიჩნეულ იქნეს სააპელაციო საჩივრის წარმდგენ არაუფლებამოსილ პირად. მინდობილობა წარმოადგენს, გარიგებას, კერძოდ დავალების ხელშეკრულებას, რომელზეც ვრცელდება „საქართველოს სამოქალაქო კოდექსით“ დადგენილი ნორმები. „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის“ 709-ე მუხლის თანახმად, „დავალების ხელშეკრულებით რწმუნებული ვალდებულია შეასრულოს მისთვის დავალებული (მინდობილი) ერთი ან რამდენიმე მოქმედება მარწმუნებლის სახელითა და ხარჯზე“. მოცემულ შემთხვევაში, გაცემული მინდობილობა წარმოადგენს მარწმუნებლის მხრიდან რწმუნებული პირის ქმედების მოწონებას. ამავე კოდექსის 101-ე მუხლის თანახმად, „შემდგომ თანხმობას (მოწონებას) უკუქცევითი ძალა აქვს გარიგების დადების მომენტიდან, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი“. შესაბამისად, აღნიშნული გარემოება არ წარმოადგენს სააპელაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობის საფუძველს. რაც, შეეხება დაინტერესებული მხარის პოზიციას, იმასთან დაკავშირებით, რომ მინდობილობა არ არის დამოწმებული ნოტარიულად და აპოსტილით, კოლეგია განმარტავს, რომ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ თავმჯდომარის 2014 წლის 19 აგვისტოს N05 ბრძანებით

დამტკიცებული „სასაქონლო ნიშანზე განაცხადის წარდგენისა და რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ“ ინსტრუქციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „განაცხადის საქპატენტში წარდგენისას ან განაცხადის წარდგენის შემდეგ ერთი თვის ვადაში, განმცხადებელს უფლება აქვს დანიშნოს წარმომადგენელი (პატენტწმუნებული) წერილობითი მინდობილობის საფუძველზე“. აღნიშნული ინსტრუქცია და „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ კანონი არ ადგენს მინდობილობის სანოტარო წესით დამოწმების ვალდებულებას, შესაბამისად, კოლეგიას მიაჩნია, რომ აპელანტის წარმომადგენლის მიერ წარმოდგენილი მინდობილობა სრულად შეესაბამება კანონითა და ინსტრუქციით დადგენილ მოთხოვნებს.

კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მართალია, სადავო სასაქონლო ნიშანი „Олейна“ (საიდ. N81826/03) მსგავსია აპელანტი კომპანიის კუთვნილი სასაქონლო ნიშნებისა, მაგრამ აპელანტი კომპანიას არ წარმოუდგენია მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა მისი კუთვნილი სასაქონლო ნიშნების კარგ რეპუტაციას საქართველოში. კოლეგიას მიაჩნია, რომ საქმეში არსებული მასალებით არ დგინდება, ის ფაქტი რომ ნიშნის რეგისტრაციით სადავო სასაქონლო ნიშნის მფლობელს დაუმსახურებლად ექმნება ხელსაყრელი პირობები და ზიანი ადგება დაცული სასაქონლო ნიშნის რეპუტაციას, შესაბამისად, კოლეგია ვერ გაიზიარებს აპელანტის პოზიციას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

კოლეგია ვერ გაიზიარებს დაინტერესებული მხარის, შპს „ვალო-ქრისტის“ პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ აღნიშნული საფუძველით, დაჩქარებული წესით ნიშნის რეგისტრაციის გაუქმების უფლებამოსილება არ აქვს საქპატენტის სააპელაციო პალატას და აქვს მხოლოდ სასამართლოს. კოლეგია განმარტავს, რომ „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის 15¹ მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, „ბიულეტენში სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის მონაცემების გამოქვეყნებიდან 3 თვის ვადაში ნებისმიერ დაინტერესებულ პირს უფლება აქვს, სააპელაციო პალატაში შეიტანოს საჩივარი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის

გაუქმების მოთხოვნით მხოლოდ იმ მოტივით, რომ დარღვეულია ამ კანონის მე-4 და მე-5 მუხლების მოთხოვნები“. აღნიშნული ნორმის საფუძველზე, საქპატენტის სააპელაციო პალატა უფლებამოსილია იმსჯელოს დაჩქარებული წესით რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სასაქონლო ნიშნის „Олейна“ (საიდ. N81826/03) დაჩქარებული წესით რეგისტრაციის გაუქმების საფუძველს.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. კომპანიის „ოლეინა სა“ (OLEINA SA) სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ძალაში დარჩეს სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 20 მაისის „სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული წესით რეგისტრაციის შესახებ“ №570/03 ბრძანება.

3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:

ნ. გოგილიძე

წევრები:

ს. დუმბაძე

მ. ჭიჭინაძე